




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №123

2013 წლის 20 აგვისტო

ქალაქი ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში მცხოვრები, აწ გარდაცვლილი ნიკოლოზ ცუცქერიძის ოჯახისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №52 დადგენილების საფუძველზე და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 19 აგვისტოს №826 ბრძანების შესაბამისად:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში მცხოვრები, უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი, ნიკოლოზ ცუცქერიძის ოჯახს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის N52 დადგენილებით დამტკიცებული 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 2000 (ორი ათასი) ლარი.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

